ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N59/ბ

26 მარტი 2018 წელი

მცხეთა

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის გიორგი კაპანაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ამერიტექი“ (ს/კ 204527609), შემდგომში „მომწოდებელი” წარმოდგენილი მისი დირექტორის არამ სიმონიანის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

ხელშეკრულების საგანი

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის 1 ერთეული ტელევიზორი და 1 ერთეული ტელევიზორის სამაგრის (LG 55UJ634V; diamond tv mount dm-4001) შესყიდვა, თანმდები მომსახურებით (შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე ტრანსპორტირებით).

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 06 აპრილის ჩათვლით.

2.1 CPV32324000- ტელევიზორი ღირებულებით 2899.00 ლარი.

CPV44523000-ტელევიზოროს სამაგრი- ღირებულებით 101.00 ლარი

2.2 ხელშეკრულების ღირებულებაა - 3000 (სამი ათასი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

4 მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:

4.2 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით.

4.3 „შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:

4.4 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და მიღება_ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მატერიალურ ტექნიკური განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გია ბროძელი.

12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	**შპს „ამერიტექი"**
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.7	**მის: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 1/1**
სახელმწიფო ხაზინა	**თი ბი სი ბანკი**
ხაზინის კოდი: TRESGE22	**ბანკის კოდი: TBCBGE22**
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022	**ა/ნ GE20TB 119 933 602 010 001**
ს/კ 236099789	**ს/კ 204527609**
ტელ: 2512696	**ტელ: 595 90 71 42**
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი	**დირექტორი**
გიორგი კაპანაძე	**არამ სომხიანი**

მცხეთა 26 .03. 2018 წელი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს. (**შპს „ამერიტექი“** (ს/კ**204527609**), **ხელშეკრულება N59/გ**).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი კაპანაძე

მიღება-ჩაბარების

აქტი

მცხეთა 27 მარტი 2018 წ.

ჩვენ, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მატერიალურ ტექნიკური განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი გია ბროძელი, ხოლო მეორეს მხრივ, შპს „ამერიტექი" (ს/კ 204527609), ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს (ხელშეკრულება N59/გ 26.03.2018 წ.) მასზედ, რომ შპს „ამერიტექმა" ჩააბარა, ხოლო მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მატერიალურ ტექნიკური განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა გია ბროძელმა ჩაიბარა, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის 1 ერთეული ტელევიზორი და 1 ერთეული ტელევიზორის სამაგრი (LG 55UJ634V; diamond tv mount dm-4001), თანმდები მომსახურებით (შემსყიდველის მიერ მითითებულ ადგილზე ტრანსპორტირებით). CPV32324000-ტელევიზორი ღირებულებით-2899.00 ლარი ; CPV44523000-ტელევიზორის სამაგრი- ღირებულებით 101.00 ლარი.

საერთო ღირებულებაა 3000 (სამი ათასი) ლარი.

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელმოწერით:

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა
და ქონების მართვის სამსახურის, მატერიალურ
ტექნიკური განყოფილების მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი გია ბროძელი

შპს „ამერიტექი" დავით საბაშვილი